**ქ. ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ. N21-ში მდებარე ბიბლიოთეკის შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის**

**საკონკურსო კომისიის ოქმი №15-1**

**ქ. ბათუმი,** **8 ნოემბერი, 2012 წ,**

**სხდომას ესწრებოდნენ:** ჯემალ ანანიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

დავით ლეკვეიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე;

არჩილ ვანაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი;

ვლადიმერ ხინთიბიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

პაატა აცინბა - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი.

**დღის წესრიგი:** თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ. N21-ში მდებარე ბიბლიოთეკის შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურე-ბის სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება.

**მოისმინეს:** საკონკურსო კომისიის წევრმა პაატა აცინბამ საკონკურსო კომისიას წარუდგინა საკონკურსო განცხადების პროექტი, საკონკურსო პირობები და თანდართული დოკუმენტები.
საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები, რომელიც შეესაბამება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" მოთხოვნებს.

**კომისიამ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს ქ. ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ. N21-ში მდებარე ბიბლიოთეკის შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო განცხადება;

2. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით არა უგვიანეს 8 ნოემბრისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ჯემალ ანანიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: დავით ლეკვეიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები:

არჩილ ვანაძე

ვლადიმერ ხინთიბიძე

პაატა აცინბა